სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N69

ქ. თბილისი **“07” “ივნისი“ 2023 წ.**

ერთის მხრივ, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი “), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ მენთეშაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო “ (შემდგომში “მიმწოდებელი “), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით, ვმოქმედებთ რა „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ “ ქვეპუნქტის „ ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით “ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ “ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ “ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებას.
1.1.6. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით (ხელშეკრულების საგანი) გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
1.1.7. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი.
1.1.8. „პრეისკურანტი“ - ხელშეკრულების დანართი „N1“-ით განსაზღვრული ავტომობილის შეკეთების ერთეულის ღირებულებები.

2. ხელშეკრულების საგანი

„შემსყიდველის “ ბალანსზე რიცხული, 1 (ერთი) ავტოსატრანსპორტო საშუალების ((HYUNDAI KONA electric) 2020წ. ს/ნ HJ-830-HJ ვ/კ KMHK581GFLU083732), საგარანტიო მომსახურების ფარგლებში, ტექნიკური მომსახურების შესყიდვა, **(CPV კოდი 50112000)** „ხელშეკრულების “ პირობებისა და “დანართი N1” და “დანართი N2” (პრეისკურანტები)-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. 3.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს **3000,00 (სამი ათასი) ლარს.**
3.2. „შემსყიდველის“ ბალანსზე რიცხული, 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების დანართი №2 „პრეისკურანტი“-ს ღირებულება შეადგენს: **18 973.50 (თვრამეტი ათას ცხრაას სამოცდაცამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.**
3.3. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი №2-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოველ ნაწილს.
3.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც გასაწევი „მომსახურების“ ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1. „ მომსახურების “ გაწევის ადგილია: ქ. თბილისი დ.აღმაშენებელის ხეივანი #204.
4.2. „ მომსახურების “ გაწევის ვადაა: „შემსყიდველის “ მოხოვნის შესაბამისად, **ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. „ შემსყიდველი “ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „ ინსპექტირება “.
5.2. „ შემსყიდველი “ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“გათვალისწინებულ ვადებში;
5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში.
5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
5.4.1. განახორციელოს „მომსახურება“ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად;
5.4.2. შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი, „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
5.4.3. „მომსახურების“ გაწევისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

6. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული „მომსახურება“ იქნება ხარისხიანი და სრულ შესაბამისობაში ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

7. ინსპექტირება

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.
7.2. ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი-ს **თანამშრომელი დავით ბაბაიანი.**
7.3. ამ მუხლის 7.2 პუნქტში მითითებული პირი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ინსპექტირების შედეგად თუ აღმოჩნდება ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარება

8.1. „მომსახურება“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.
8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
8.3. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოუდგინოს „შემსყიდველს“ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ,„შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;
9.2. ანგარიშწორება ხორციელდება ეტაპობრივად, „მომსახურების“ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხელმოწერისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის „შემსყიდველისათვის“ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. „ხელშეკრულებით " მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
11.2. „ხელშეკრულების " მე-4 მუხლის 4.2 და მე-7 მუხლის 7.3 პუნქტებით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, „ მიმწოდებელს " ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს " „ხელშეკრულებით " ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4. „მიმწოდებელს ", ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა „ ხელშეკრულების ღირებულების " 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში " შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების " პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.3. „ხელშეკრულების " პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების " პირობები „შემსყიდველისთვის ", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების " პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების " გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების " 10%-ზე მეტი ოდენობით.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. „ხელშეკრულების " შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. „შემსყიდველი " უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების " მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს.
14.2. „ხელშეკრულების " ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს "„ხელშკრულებით " განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. „ხელშეკრულება " აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
14.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მოქმედი კანონმდბლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. სხვა პირობები

15.1. „ხელშეკრულებით " გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. „ხელშეკრულებასთან " დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.
15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.5. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.6. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
15.7. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. „ ხელშეკრულება “ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
საიდ. კოდი: 200293315	ს. კოდი: 204478948
მისამართი: ქ.თბილისი, მ. ასათიანის 9	ბანკი: ს.ს „თი ბი სი“ ბანკი
საბანკო რეკვიზიტები; სახელმწიფო ხაზინა	ბ.კ. : TBCBGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:	ა/ა GE15TB1100000110467697
GE24NB0330100200165022	ტელ.: 0322-51-77-99
საკონტაქტო ელ. ფოსტა: khatuna.menabdishvili@gmail.com	ელ.ფოსტა: levan@hyundai.ge
LEPL state employment promotion agency Digitally signed by LEPL state employment promotion agency Date: 2023.06.07 12:24:34 +04'00'	HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2023.06.07 16:30:17 +04'00'

<u>ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით</u>

<u>დანართი #1</u>

სს ჰიუნდაი ავტო საქართველო

საგარანტიო მომსახურების პირობები

(მსუბუქი ავტომობილი)

ავტომობილის გაყიდვის დღიდან ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საგარანტიო მომსახურებას ექვემდებარება:

- ძრავი, გადაცემათა კოლოფი, ხიდები, ელექტროობა (მართვის ბლოკები) – 5 წელი ულიმიტო გარბენი.
- მაღალი ძაბვის აკუმულატორი – 7 წელი ან 150.000 კმ (რომელიც უფრო ადრე შესრულდება) ჰიბრიდი და ელექტრო მანქანები
- აუდიო სისტემა: 3 წელი ან 100,000კმ.გარბენი (რომელიც უფრო ადრე შესრულდება)
- აკუმულატორი: 2 წელი ან 40,000კმ. გარბენი (რომელიც უფრო ადრე შესრულდება)
- სავალი ნაწილი: 1 წელი ან 30,000კმ. გარბენი (რომელიც უფრო ადრე შესრულდება)
- ძარის გამჭოლი კოროზია - 5 წელი ულიმიტო გარბენი.
- ღვედები 1 წელი ან 30.000 კმ. (რომელიც უფრო ადრე შესრულდება)

საგარანტიო მომსახურებას არ ექვემდებარება: სამუხრუჭე ხუნდები, გადაბმულობის დისკი, გადბმულობის ქურო, გადაბმულობის საკისარი, ნათურები, სანთლები, დამცველები, სიგნალები, საქარე მინის საწმენდები. ავტომობილის მოდიფიკაციისათვის შეუსაბამო მარკის, სტანდარტის და ოქტანობის საწვავის მოხმარების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი დაზიანება. ზეთის დამატება (ძრავში, კოლოფში), სამუხრუჭე სითხის დამატება, ფრეონის დამატება, ანტიფრიზის დამატება. ნაწილი, რომელსაც გააჩნია რესურსი და ექვემებარება ცვეთას, განშლა-ნახარების აღდგენა, (სხოდი–რაზვალი).

საგარანტიო მომსახურებას არ ექვემდებარება: არასწორი ექსპლოატაციით გამოწვეული დეფექტები. ბუნებრივი მოვლენით გამოწვეულ დაზიანება, მფლობელის მიერ უხეში მოპყრობით გამოწვეული დაზიანება (მექანიკური დაზიანება).

მფლობელი ვალდებულია:

1) საგარანტიო პერიოდში ნებისმიერი სახის მომსახურება ჩაატაროს ჰიუნდაის სერვის ცენტრში ან ჰიუნდაის სადილერო მომსახურების ცენტრებში.
2) მოახდინოს სერვისის ჩანაწერების შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მათი წარმოდგენა

აღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ავტომობილი მოიხსნება საქარხნო გარანტიიდან.

HYUNDAI KONA EV 150KW (2020 წლის მოდელი)

დანართი #2

№	სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება	განზომილების ერთეული	ნაწილის ერთეულის ფასი ლარი	ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი	საერთო ფასი, ლარი
1	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	450.00	35.00	485.00
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	260.00	35.00	295.00
3	წინა ამორტიზატორი	ცალი	590.00	60.00	650.00
4	უკანა ამორტიზატორი	ცალი	695.00	60.00	755.00
5	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	190.00	60.00	250.00
6	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	150.00	60.00	210.00
7	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	95.00	60.00	155.00
8	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	190.00	60.00	250.00
9	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	90.00	60.00	150.00
10	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	70.00	60.00	130.00
11	უკანა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	60.00	60.00	120.00
12	საჭის ღერძი	ცალი	1790.00	175.00	1965.00
13	საჭის ღერძის დაბოლოება	ცალი	150.00	30.00	180.00
14	საჭის ღერძის წევა	ცალი	180.00	40.00	220.00
15	წინა დაკიდების ბერკეტი	ცალი	570.00	70.00	640.00
16	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	65.00	70.00	135.00
17	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	60.00	70.00	130.00
18	უკანა დაკიდების ბერკეტი	ცალი	495.00	60.00	555.00
19	უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა	ცალი	60.00	65.00	125.00
20	უკანა დაკიდების ბრტყელი ძელი	ცალი	250.00	60.00	310.00
21	უკანა დაკიდების ბრტყელი ძელის მილისა	ცალი	100.00	60.00	160.00
22	უკანა განივი ძელი	ცალი	220.00	50.00	270.00
23	უკანა გრძივი ძელი	ცალი	190.00	50.00	240.00

24	უკანა განივი ძელის მილისა	ცალი	55.00	60.00	115.00
25	უკანა გრძივი ძელის მილისა	ცალი	55.00	60.00	115.00
26	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	400.00	35.00	435.00
27	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	450.00	50.00	500.00
28	წინა მორგვი საკისარით	ცალი	980.00	60.00	1040.00
29	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	850.00	80.00	930.00
30	მორგვის ჭანჭიკი	ცალი	15.00	50.00	65.00
31	საბურავის სამაგრი ქანჩი	ცალი	15.00	0.00	15.00
32	ყუმბარა გარეთა მხარე	ცალი	1020.00	80.00	1100.00
33	ყუმბარა შიდა მხარე	ცალი	790.00	80.00	870.00
34	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომლექტი	1760.00	60.00	1820.00
35	გარეთა ყუმბარის სამტვერული	ცალი	160.00	80.00	240.00
36	შიგნითა ყუმბარის სამტვერული	ცალი	145.00	80.00	225.00
37	ელექტრო ძრავის სამაგრი კრონშტეინი	ცალი	402.00	80.00	482.00
38	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	30.00	25.00	55.00
39	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	ცალი	25.00	15.00	40.00
40	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	15.00	10.00	25.00
41	წინა ღერო	ცალი	150.00	30.00	180.00
42	უკანა ღერო	ცალი	150.00	30.00	180.00
43	უკანა წეროს მილისა	ცალი	65.00	60.00	125.00
44	სალონის ფილტრი	ცალი	110.00	10.00	120.00
45	სიგნალი	ცალი	90.00	80.00	170.00
46	წინა საქარე მინის საწმენდი	ცალი	95.00	5.00	100.00
47	უკანა საქარე მინის საწმენდი	ცალი	55.00	5.00	60.00
48	წინა ფარის ნათურა	ცალი	50.00	15.00	65.00
49	გაბარიტის ნათურა	ცალი	12.00	15.00	27.00
50	ელექტრო აგრეგატის გამაგრილებელი სითხე	1 ლიტრი	35.00	0.00	35.00
51	საბურავის წნევის რეგულირების სარქველი	ცალი	250.00	40.00	290.00
52	საბურავის დისკის საფარი (კალპაკია)	ცალი	45.00	5.00	50.00

53	ელექტრო აგრეგატის რედუქტორის სითხე	1 ლიტრი	50.00	0.00	50.00
54	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	60.00	0.00	60.00
55	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	20.00	0.00	20.00
56	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	65.00	0.00	65.00
57	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	0.00	150.00	150.00
58	ელექტრო აგრეგატის გამაგრილებელი სითხის შეცვლა	კომპლექტი	0.00	150.00	150.00
59	ელექტრო აგრეგატის რედუქტორის სითხის შეცვლა	კომპლექტი	0.00	150.00	150.00
60	კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	0.00	70.00	70.00
61	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	0.00	15.00	15.00
62	განშლა	კომლექტი	0.00	60.00	60.00
63	ნახარის გასწორება	კომპლექტი	0.00	160.00	160.00
64	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	კომპლექტი	0.00	60.00	60.00
65	სავალი ნაწილის შემოწმება	კომპლექტი	0.00	30.00	30.00
66	წინა ყუმბარების გადაჭერა	კომპლექტი	0.00	50.00	50.00
67	ევაკუატორის გამოძახება	ერთჯერადი	0.00	25.00	25.00
68	ევაკუატორის მომსახურეობა ქალაქის ფარგლებში	1 კმ	0.00	2.50	2.50
69	ევაკუატორის მომსახურეობა ქალაქის ფარგლებს გარეთ	1 კმ	0.00	2.00	2.00
სულ:					**18973.50**